8065/3-56/22 2 05092022

8065/3-56/22
05-09-2022

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

ბატონ ზურაბ აზარაშვილს

მოგესალმებით,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, „დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის დადგენილებით განსაზღვრული საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვე-პროგრამის შესახებ:

1. 2022 წლის 17 თებერვლიდან დღემდე, რამდენი ადამიანის დასაქმება განხორციელდა აღნიშნული ქვე-პროგრამით;

2. 2022 წლის 17 თებერვლიდან დღემდე აღნიშნული ქვე-პროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირების შესახებ დეტალური ინფორმაცია (მონაცემთა ბაზა) - მუნიციპალიტეტის, დასაქმებული ადამიანების საიდენტიფიკაციო მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), რეგისტრაციის მისამართის, დამსაქმებელი ორგანიზაციის, დასაქმების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასახელების მითითებით.

შენიშვნა: აღნიშნულ მოთხოვნაში, იგულისხმება, როგორც ამჟამად დასაქმებული, ასევე საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებული და ამჟამად დაუსაქმებელი პირებიც.

3. 2022 წლის 17 თებერვლიდან, დღემდე ქვე-პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ხარჯების მოცულობა, მათ შორის სახელფასო ანაზღაურებაზე გაცემული თანხების მითითებით.

4. დასაქმებულების შესახებ, დეტალური ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მონაცემებს, ერთ ოჯახში მცხოვრები, ქვე-პროგრამით დასაქმებული პირების შესახებ, იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ერთი ოჯახის წევრთა იდენტიფიცირება.

ინფორმაცია შესაძლებელია მოწოდებული იქნას ელექტრონული მონაცემების მატარებელი საშუალებების გამოყენებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ბექა ლილუაშვილი